რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების ორგანო

ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი 1917

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გამოვა დღეს: ერთი ფოცი 8 მან. 35 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე ისე მეოთხეზე 1 ტეტრის სტრიქონი—50 კაპ., მეოთხე გვერდზე—25 კაპ. საგანგებო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 8 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაბეჭდილ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერა ... სიათ უნდა გამოგზავნილ — ... ბიჯ. 199. Редакція „Эртоба". ხელი ... ფასი გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის მისამართი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 173 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 173

ლანჩხუთის სრულ-უფლებიანი

სავაჭრო გიმნაზიაში

ვინაიდან მსურველები საკმაოდ აღმოჩნდა, გაიხსნება მეექვსე კლასი.

თხოვნების მიღება შეიძლება დირექტორის სახელზე 25 ოქტომბრამდე. 3—2

მომხმარებელ საზოგადოება

„მოსავალი"

ხბირია, ბურის ფცხობელები, ცოცის ზომიანელები, ფქვილის გასაცრელები, ფურნეების გამგები, ფულის შემკრეფნი, ბურის გამყიდველები.

საბურველია ორგანიზაციები: ... ...

დროებითი მისამართი: თფილისი ... № 9, ...

საერთაშორისო ომი

რუსეთის ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ბალტიის ზღვაზე შეტაკებები არ ხდება. გერმანიის ჯარმა ნახევარ კუნძული გერდერეი დასტოვა.

საფრანგეთის ფრონტზე საფრანგეთის ჯარი წინ მოიწევს. იპრის რაიონში მათ გერმანელების ყველა სიმაგრეები დაიკავეს და 4 კილომეტრის მანძილზე წინ წაიწიეს.

ბელგიის ჯარიც თავისი მხრივ მტერს მედგრათ უტევს და მოწინააღმდეგეს ავიწროებს.

იტალია-ავსტრიის ფრონტიდან ცნობა არ მოხულა.

საერთაშორისო მოძრაობა

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა შეიმუშავა ზავის პირობები, რომელიც გადაეცა ამხ. სკობოლევს მოკავშირეთა კონფერენციაზე წარსადგენათ და გასატარებლათ. განსაკუთრებით ერთი მუხლი იწვევს ჩვენს ყურადღებას. ამ ნაკაზის ბოლოში სწერია: „მოკავშირეები ვალდებულათ რაცხენ დაადგინონ, რომ ზავის შესახებ მოლაპარაკება არ უნდა იყოს ფარული და ზავის შეკვრა უნდა მოხდეს კონგრესზე ნეიტრალურ სახელმწიფოების წარმომადგენლების მონაწილეობით“. რუსეთის დემოკრატია და მასთან ერთად მთელი ინტერნაციონალი რომ შესძლებდეს ამ მოთხოვნის ცხოვრებაში გატარების, ეს იქნებოდა დიდი გამარჯვება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მებრძოლ სახელმწიფოების მთავრობებს აშკარათ გადწყვეტილი აქვთ შეკრან ზავი ხალდუმლათ და ხალხი დააყენონ ამ ფაქტის წინაშე ისე, როგორც დააყენეს უკვე გამოცხადებულ ომის წინაშე. თუ არ ვცდებით, ბ-ნი ჩილიუკო

მები ამ უკმაყოფილების ჩასაბრობათ. დღეს ფქვილს უკვე სკრიან და ისე აცხობენ.

— ხაშურის ქალაქის კომისსარიათ კომიტეტმა აირჩია საფრანგეთიდან დაბრუნებული ემიგრანტი ამხ. გიორგი ელისაბედაშვილი, რაიონის სანიტარულ საქმეების კომისსარათ ამხ. ნიკო სიხარულიძე.

— ხაშურის ახალგაზრდა მარქსისტთა ჯგუფმა მოაგვარა პარტიული სამაცადინო წრე და ეპირებიან პოლიტიკურ კლუბის გახსნას ხაშურში.

დუშეთის მაზრის ფილიალურ განყოფილების თავმჯდომარე ნ. ძიძიგური აცხადებს იმავე მაზრის მასწავლებელთა საყურადღებოთ, რომ კვირას 22 ოქტომბერს დანიშნულია მასწავლებელთა კრება ქ. დუშეთში.

ᲣᲐᲠᲚᲘ. ეს ერთი ხანი „ერთობა“ ძალიან ცოტა მოდის. ასე რომ მკითხველებს ვერ აკმაყოფილებს, რის გამო გაზეთის ლოდინში რიგში ჩამდგარი მყიდველები ხელ ცარიელი უკან ბრუნდებიან. საჭიროა აქაურმა აგენტმა მეტი მოითხოვოს გაზ. „ერთობა“ და მით დააკმაყოფილოს მკითხველების მოთხოვნილება.

ძ. ᲐᲮᲐᲚ-ᲚᲔᲜᲐᲙᲘ. ამ დღეებში იწყებს მოქმედებას სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტი.

— ვინაიდან სოფლათ გაცხარებულა მეშალობა მოსავლის შესანახათ, ამიტომ ყოველგვარი კრებები გადადებულია 15 ამ თვემდე. ამის შემდეგ ადგილობრივ ს. დ. კომიტეტს მიზნათ აქვს მოაწყოს მიტინგები და კრებები. ახსნილი იქნება საარჩევნო პლატფორმა დამფუძნებელი კრებისა.

— ამ მოკლე ხანში მოწყეული იქნება სამაზრო გლეხთა საბჭო. არჩეულია 30 დელეგატი სოფლის საზოგადოებებიდან. სამაზრო საბჭოს მიზანია გაიმას მჭიდრო კავშირი ყველა საზოგადოებათა გლეხთა საბჭოებს შორის და მათი მუშაობისათვის საერთო გეგმა გამომუშავდეს. აგრეთვე, ყველა საყურადღებო საკითხების შესახებ გლეხთა საბჭოს ექნება გაერთიანებული სხვომა ჯარისკაცთა და მუშების საბჭოებთან ერთათ საერთო სამოქმედო გეგმის შესამუშავებლათ.

— აქაური მეტალების თავგასულობას საზღვარი არ აქვს. მათთვის არ არსებობს არავითარი ნახრი, გარდა საკუთარი გამოგონილისა. ვისაც როგორ შესძლებენ, ისე აძრობენ ტყავს. დრო კი, ქალაქის თვითმართველობა და კომისარი მიაქცევდეს ყურადღებას. საეშუბარროთ, ამ მხრით რადაც დაუდგენლობაა. ნუ თუ ასე ძნელია მათი აღაგზა.

ᲓᲐ. ᲫᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲜᲐᲙᲘ. აქაური მეტალებიც უკვეთესათ არ იქცევიან. ისინი კიდევ თავისებურად ამართლებენ ასეთ მოქმედებას: დაშუძნებული კრებამდე არავითარი კანონი არ არსებობსო. მაშასადამე, მანამდე შეგვიძლია, როგორც გვინდა, ისე მოვიქცეთო. თუ გაჯიუტდი და მოიწადინე ნახრის დაცვა, ეგი თქვენ დღეს, მეეტლეები საერთო გაფიცვას გიცხადებენ და თუ შეგხვდათ მეორეთ გამგზავრება, იძულებული იქნებით ფეხით გამგზავრეთ.

Ლ. ᲫᲙᲔᲛᲝ ᲜᲘᲩᲐᲫᲘᲡᲘ (ქართული). მიმდინარე წლის მოუსავლობამ საგანგებელში ნაადგილობრივი ადგილობრივი გლეხობა. საშინელმა სეტყვამ ნაშუშაგარი აქ სრულებით გაანადგურა. არც პურის და არც სიმინდის მოსავალი აქ წელს არ იყო. გაჭირვებულ და განაწამებ გლეხობას დარჩა ვრცელ-ვრცელი იმედი შემოდგომის მოსავალზე, მაგრამ სათესლე ხორბალი ვერ იშოვა. თუმცა გორის სასურსათო კომიტეტმა ადუოქვა ადგილობრივ გლეხობას სათესლე ხორბლის კვეკვიდან ჩამოტანა. გლეხებიც დაიმედდა, ცას მანანასავით მოვლოდენ ოფლს და ამ ლოდინში კიდეც დახნეს და დაამზადეს სათესათ შიწები, მაგრამ ამ იმედმაც, როგორც სჩანს, ტყუილ-უბრალოთ ჩაუარა. რადგან გამოირკვა, კვეკვიდან სასურსათო კომიტეტს ადუკრძალავს გორის კომიტეტისთვის სათესლე ხორბლის მის რაიონიდან გატანა. ისევეც განაწამები ხალხი ამან კიდევ უფრო უარეს სასოწარკვეთილებაში ჩაგდო. საჭიროა რაიმე დროსიძების გამონახვა და სწრაფი დახმარება, თორემ მოელი მხარე შიმშილის მსხვერპლი გახდება.

ძ. ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. 28 სექტემბერს ადგილობრივ რკინის გზის სასწავლებლის მშობელთა საზოგადო კრებაზე იქონიეს მსჯელობა სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ. ორატორთა დიდი უმრავლესობა საჭიროთ ადიარებს სწავლის დედა-ენაზე. ორი-სამი ორატორი არ იზიარებს ამ აზრს; როგორც ბოლოს გამოირკვა, მათ არ ჰქონიათ სწორი წარმოდგენა სკოლის ნაციონალიზაციაზე. ახსნა-განმარტების შემდეგ ერთხმათ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: ადგილობრივ ეროვნებით სკოლის ნაციონალიზაციას; დარწმუნებული ვართ, ერთხელ და სამუდამოდ მოდებულ ბოლო სასწავლებელში დიდი ხნის გამეფებულ მახინჯ ადზრდა-განვითარებას, მოზარდთა გონების დამაჩლუნგებელ მუნჯურ მეთოდს. ვიმედოვნებთ, ადვილად ჯერეთვან ყურადღებას მიაქცევს მცხოვრებთა ფართო ნაწილი ამ ფრიად საყურადღებო დიდმნიშვნელოვან საკითხს და სკოლებში სწავლა-განათლების საქმეს დაიყენებენ მყარ ნიადაგზე, რითაც დით სამსახურს გაუწევს მომავალ თაობას.

ძ. ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘ. 8 ოქტომბერს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელთან არსებულმა საბჭომ დაადგინა—დაიწყოს სწავლა სასწავლებელში 16 ოქტომბრიდან. თავისუფალი ადგილები: ანგარიშის, გეოგრაფიისა და ბუნების მეტყველებისა და აგრეთვე ლათინური ენისა. პირველ ადგილზე საჭიროა მასწავლებელი უმაღლესი სწავლა-განათლებით, მეორეზე-კი შეიძლება საშუალოთიც.

— ოზურგეთის თავისუფალ ეტლთა ამხანაგობამ გაიუქმა თავისი მოქმედება, საჯარო ვაჭრობით გაჰყიდა ცხენები და სხვა ქონებაც, დაიტოვა მხოლოდ რამდენიმე ცხენი ფოსტის გადასაზიდათ. განზრახვა აქვთ გახსნან ავტომობილებით მომოსვლა სადგურ ნატანებამდე. ავტომობილებით მიმოსვლას ხსნის ამავე გზაზე აგრეთვე მთაუმელი ამხანაგობა „ლიპოვიჩი და კომპანია“, რის შესახებაც მოლაპარაკება სწარმოებს ქალაქის თვითმმართველობასთან.

— კვირას აკურთხეს ოზურგეთის ქალთა საზოგადოების მიერ დაარსებული პროფესიონალური სასწავლებელი, სადაც ასწავლიან—ჭრა-კერვას, ქსოვას, ფეხსაცმელების კერვას და სხვ. სასწავლებლის გახსნას მრავალი ხალხი დაესწრო, შეგროვდა შემოწირულებაც.

— ოზურგეთის ქალთა პროგიმნაზია უკვე გიმნაზიათ გადაკეთდა. ქართული ენის მასწავლებლად მოიწვიეს ამხ. გ. შილაკაძე.

სრულიათ კავკასიის სასურსათო ყრილობა

15 ოქტომბერს თფილისში გაიხსნა სრულიათ კავკასიის სასურსათო ყრილობა. კრებას დასწრო კავკასიის ფრონტის მთავარ-სარდალი გენ. პრეკეზალსკი, ინტენდანტი გენ. ფილონოვი და სხვები. კრება გახსნა სასურსათო მინისტრის რწმუნებულმა ბ.ჩნა. მან ვრცელი მოხსენება გააკეთა სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებიდან ირკვევა, რომ ასტრახანის გუბერნიაში და მოელ ვოლგის მიდამოებში მოსავალი ძლიერ ნაკლებია. კარგი მოსავალი არის ხერსონის და თავრიდის გუბერნიებში. კავკასიაში ნაკლები მოსავალია ბაქოს და განჯას გუბერნიებში, სამეფო თფილისის და ქუთაისისაში. საინტერესო სტატისტიკური ცნობები შეუკრებია ბაჩს იმის შესახებ, თუ სად რამდენი ხელფეტი პური არის ვინა. მაგ., ჩრდილოეთ კავკასიაში 120—130 მილიონი ფუთია. მოელ რუსეთში 600 მილიონი ფუთი, მხოლოდ საჭირო 900 მილიონი. ბაჩის გამოანგარიშებით, კავკასიის ფრონტისათვის საჭიროა 24 მილიონი ფუთი ფქვილი და 36 მილიონი ხორბალი. ამიერ-კავკასიისათვის 51 მილიონი ფუთი და, ძალზე რომ შეეამცირეთ—40 მილიონი. ამგვარად, 111 მილიონი ფუთი ამიერ-კავკასიის და ფრონტს მოუნდება, დარჩება 20—30 მილ. ფუთი, რომლითაც უნდა გამოიკვებოს თურქესტანი, ასტრახანის გუბერნიის ნაწილი და ჩრდილოეთი რუსეთი. თურქესტანს უნდა მიეცეს სულ ცოტა 12 მილიონი ფუთი, ასტრახანის გუბ. არა ნაკლებ 4 ნახევარ მილიონი ფუთისა და მოსკოვს—6 მილიონი.

საარჩევნო სამზადისი

ძ. თელავი. ქ. თელავს კვლავ დაეტყო გამოცოცხლება. დაიწყო საარჩევნო სამზადისი დამფუძნებელი კრებისთვის. ადგილობრივი სოც. დემ. ორგანიზაცია ენერგიულათ შეუდგა საქმეს. სხვა პარტიები ჯერ არსად სჩანან. ქალაქი გაიყო ხუთ რაიონად, ყველა რაიონში მოხდა პარტიის წევრების და თანამგრძნობთა კრებები. მიუხედავათ იმ გულგახეთქილობისა, რომელიც არსებობს საზოგადოებაში, სასურსათო კრიზისის ნიადაგზე, კრებებს მაინც ხალხი ბლომათ ესწრება. არჩეულია ქალაქის ცენტრალური და საარჩევნო საარჩევნო კომიტეტები. 12 ოქტომბისთვეს გაიმართა თელავის სოც. დემ. ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. ამიერ კავკასიის საოლქო საგანგებო სოც. დემ. ყრილობის დელეგატმა ამხან. რ. ჩიჩლაძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება ამ ყრილობის შესახებ. მოხსენებულმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დღევანდელი მომენტის საკითხს და იმ აზრითა სხვადასხვაობას, რომელიც არსებობს ამ საკითხის გარშემო მოელს რუსეთში. კრებამ ერთ სულოვნათ მიიღო ყრილობის რეზოლიუცია მომენტის შესახებ.—ამხანაგმა კოტე ანდრონიკაშვილმა თავის მოხსენებაში, სასურსათო კრიზისის შესახებ, გააცნო დამსწრეთ ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ეს საშინელი კრიზისი.—რადგანაც ფართო საზოგადოებაში არსებობს უკმაყოფილება სასურსათო კრიზისის ნიადაგზედ, კრებამ დაადგინა: გაიმართოს მიტინგი 15 ოქტომბერს, რომელზედაც გააცნობენ ხალხს მიზეზებს ადგილობრივი ეკონომიური არეულ-დარეულობისა. კრების დასასრულს ამხანაგმა რაფიელ ჩიჩლაძემ მოუწოდა დამსწრე ამხანაგებს, რომ მათ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანიაში, და რადგანაც არჩევნები აუცილებლათ გამოიწვევენ ხარჯებს, მოუწოდა ამხანაგებს, რომ დაარსონ საარჩევნო ფონდი. კრება დიდის თანაგრძნობით შეხვდა ამ აზრს, აქვე დაადგა საფუძველი მომავალ ფონდს. შეგროვილ იქნა ორმოცი თუმანი.

ე. ნ.

ახლოვდება არჩევნები დამფუძნებელ კრებისა, რომელსაც გადაწყვეტილი ექნება ფინანსიალური მოგლის მთელი რუსეთის მშრომელი ხალხი.

ახლოვდება დიდებული წუთი, როდესაც რუსეთის რევოლიუციამ შეიდი თვის დაღლილს შემდეგ უნდა მიიღოს განსაზღვრული ფორმა, რომელიც იქნება გამოხატველი მუშათა კლასის ძალთა განწყობილებისა. ახლოვდება წუთი, როდესაც მკვიდრი საძირკველი უნდა ჩაეყაროს დემოკრატიულ წესწყობილებას.

ამისთვის ყოველი ჩვენგანის წმინდა მოვალეობას შეადგენს გამოიჩინოს მეტი სიმხნე და ენერგია, არ მოერიდოს არავითარ სხვერპლის გადებას და მით მკვიდრი საძირკველი ჩაუყაროს ბრწყინვალე მომავალს. ჩემის მხრით ვსწირავ საარჩევნო ფონდს ჩემი ექვსი თვის ჯამაგირს, ორმოცდა ათ მანეთს.

გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს რ. ს. დ. მ. პარტიას! გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს ნოე ჟორდანიას!

ჯ. კ. (3) ეკ. ბ—ნისა **ალექსანდრე ტყეშელაშვილი.**

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲒᲭᲝᲡᲗᲐᲜ

(16 ოქტომ. სხდომა)

თავმჯდომარეობს ამხ. **ეგნატე გეგეჭკორი.**

წაკითხულ იქნა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის განცხადება ანარქიასთან საბრძოლველათ კომიტეტის დაარსების შესახებ, ამ კომიტეტში შედიან ჯარის უფროსთა და რევოლიუციონურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი სთხოვს ქალაქის საბჭოს აირჩიოს თავის წარმომადგენელი.

ფ. მახარაძე წაიკითხავს კომიტეტში წარმომადგენელი გაგზავნის ქალაქის საბჭოს,—ჩვენ არ ვიცით როგორია ეს კომიტეტი, რაა მისი მიზანი, იგი მოწყობილია ამ. კავკ. საგანგებო კომიტეტის მიერ, სადაც სხვადან კორონილოვები ? ამიტომ ჩვენ იქ ვერ წავალთ. ამხ. **ნოე რამიშვილი** მოაგონებს დაესწრეთ, რომ ეს კომიტეტი ეწყობა ცენტრალურ კომიტეტის დადგენილების თანახმათ და საჭიროა იქ გავგზავნოთ ჩვენი წარმომადგენელი, რომ ამათ დახმარება გავუწიოთ ამ. კავკ. საგანგებო კომიტეტს, სადაც სხვადან ჩვენი ამხანაგებია. **შ. მეხუთეშვილი** მოითხოვს კომიტეტის სახელის შეცვლას, ანარქიასთან ბრძოლის მაგივრათ უნდა ადინიშნოს, რომ მისი მიზანი იქნება დარბევასთან ბრძოლა. **დ. ბერხადეევი** (სოც.-რ.) მოითხოვს ქალაქის საბჭოს გაგზავნოს თავის წარმომადგენელი იმ შემთხვევაში, თუ კავკასიის ს., ჯ. და გ. დეპუტატების საბჭოთა ცენტრი მიიღებს მონაწილეობას კომიტეტის შედგენაში. ნოე რამიშვილი უარყოფდა **შ. მეხუთეშვილის** წინადადებას. გადაწყვეტილ: აირჩიონ სამი წარმომადგენელი და არა ერთი. ნოე რამიშვილი ასახელებს აუშტროფსა და ფილიპე მახარაძეს. **ფ. მახარაძე** ხსნის თავის კანდიდატურას. არჩეულ იქნენ: აუშტროფი (ს.-დ.), ჩემოდანოვი (ს.-რ.) ბაბალიანი (დაშნ.). ამის შემდეგ გამგეობის წევრები მ. სმირნოვი აცხადებს, რომ პეტროგრადიდან უკვე გამოუგზავნიათ 360 ათასი მან. ტრანსკავკასიელთა ინსტიტუტის სასარგებლოთ, ქალაქში ოფიციერების გაფიცვა უკვე დასრულდა. ათაბეგოვი (ბალ.) რიგ გარემოებას აცხადებს,—რუსიამ (ქალაქის სასურსათო კომიტეტის წევრი) ვერ შეასრულა თავის დაპირება და არ მიიღო ზომები, რომ ფურნეების წინ „კუდები“ მოსპობილიყოთ. ორატორს საჭიროთ მიაჩნია პურის გასაყიდ ადგილების რიცხვის გაზრდა. **მ. რუსია** უპასუხებს, რომ გრძელი „კუდები“ წარმოშვა არა პურის გასაყიდ ადგილების სიმცირემ, არამედ—თვით პურის ნაკლებობამ. მცხოვრებთ ეშინიათ პური არ გამოიელიოს და ამიტომ ადრე დგებიან ფურნის წინ რიგში; ფურნიდან პურის გამოტანის უფლებას სხვაგან გასაყიდათ არ აძლევენ და არც თვითონ შორდებიან ფურნეს, დაშნაკელებს განსაზღვრული ზენა, რომ ერთეული შეადგენდეს მოგზავნათ დამსწრეებზე, წამოდგეთ ცუდი, დამწვარი სუხარები და როგორც კი ათაბეგოვმა განცხადება შემოიტანა პურის გაყიდვის შესახებ, დაშნაკელებმაც ამოიღეს სუხარები და დაანახვეს დამსწრეთ,—შეხედეთ, როგორი სუხარებით გვკვებავენო ყველასათვის ცხადი იყო დაშნაკელების განზრახვა. ამხ. **ეგნატე გეგეჭკორმა** მიაქცია ამას უფრადღება და სთქვა: გუშინ სასურსათო თათბირს არ დასწრებია არც ერთი ხმოსანი, და რომ დასწრებოდით, თქვენ დაინახავდით, თუ რა უნუგეშო მდგომარეობაშია დღეს სასურსათო საკითხი საზოგადოთ, და ამ საკითხს არ უნდა მიეუდგეთ პარტიული თვალსაზრისით, რომ მოწინააღმეგე პარტიას სახელი გაუტეხოთ ხალხის თვალში, მის უმოქმედობას მივაწეროთ სასურსათო კრიზისი. თქვენ უნდა ცდილობდეთ, რომ მცხოვრებნი დამშვიდებით შეხვდენ მდგომარეობის გართულებას, სერიოზულათ უნდა მოეპყრათ ამ საკითხს, წინადადება შემოხვევაში, მოსალოდნელია დიდი საფრთხე.

თავმჯდომარე ეკითხება საბჭოს,—თუ მას სურს—გახსნის კამათს ამ საკითხის გარშემო. მაგრამ საბჭო ერთხმათ ადგენს—ახლა არ გახსნან კამათი ამ საკითხის შესახებ და გადადიან ტრანზეის ტარიფის გადიდების საკითხზე. **მ. სმირნოვი** აცნობს საბჭოს, რომ საფინანსო და ტრანზეის კომისიები და ქალაქის გამგეობა კვლავ იმ დასკვნამდე მივიდენ საკითხის განხილვის შემდეგ, რომ საჭიროა ტარიფი გადიდებულ იქნას მგზავრთ ვარიანტის თანახმათ. **ფ. მახარაძე** წინადადებას ტარიფის გადიდების, ჯერ შემუშავდეს ქალაქის საერთო ფინანსიური გეგმა და შემდეგ განვიხილოთ ტარიფის საკითხი. **გ. ხატისოვი** (დაშნ.) ამბობს: როცა ახლანდელ თავმჯდომარის ადგილზე იჯდა ამ. ხატისოვი, ფილიპე მახარაძის ადგილზე—ნოე რამიშვილი, მხოლოდ ნ. რამიშვილის ადგილზე კი მე, (ვ. ი. ძველ სამპოში), მაშინ ნოე რამიშვილი წინააღმდეგი იყო ტარიფის გადიდების და მოითხოვდა უძრავ ქონებათა ხელახლათ შეფასებასა. მე კი მაშინ მომხრე ვიყავი ტარიფის გადიდების, ვინაიდან შეუძლებელი იყო ქონებათა შეფასება. დღეს კი ეს შესაძლებელია და საჭირო არ არის ტრამვაის ტარიფის გადიდება. დღეს, როცა რამიშვილის ხელშია ამ საკითხის გადაჭრა, მე მეგონა იგი შეეცდებოდა ტარიფის შემცირებას, მარა ეს ასე არ მოხდაო. **კ. კანდელაკი** (სოც.-დემოკრატი) ადნიშნავს, არ შეიძლება არ გავადიდოთ ტარიფი, ვინაიდან წლის ბოლომდე ისედაც 249 ათასი მან. გვაქვს დეფიციტი. **გ. გვაზავა** (ნ.-დ.) მომხრეა ტარიფის გადიდების, ვინაიდან ფულის ფასი ძალზე დაეცა. ამხ. **ნოე რამიშვილი.** ხატისოვმა მოგვაგონა ერთი მომენტი და მე მოსარული ვარ, რომ მას ეყო გამბედაობა მოეგონებინა ეს. მაშინ დაშნაკელები არ იყვენ სოციალისტების ქურქში გახვეულნი და აქ ისხდენ სოლოლაკის პლუტოკრატიის სულის ჩამდგმელის ალ. ხატისოვის მეთაურობით. მაშინ მათ უნდოდათ ტრამვაიდან ნახევარი მილიონი მოგვება მიეღოთ სხვა ხარჯების დასაფარავათ და ამიტომ ვამბობდით, რომ ეს ძარცვა არისო. დღესაც რომ ასე იყოს, მე პირველი გავილაშქრებდი ჩემი აზრების წინააღმდეგ. დაშნაკელები მაშინ ტარიფის გადიდების უმერდენ ზარს (ჯამალიანი: ეს არ არის მართალი) ეს ყველაფერი შეტანილია ოქმებში. წლის ბოლოს ჩვენ გვექნება 249 ათასი მანეთი ზარალი. მაშასადამე, კითხვა ისე კი არ დგას, როგორც ეს ძველ საბჭოში იყო, ჩვენ გვინდა დღეს ამით ხარჯის ნაწილი მაინც დაეფაროთ. აქ ნ. რამიშვილს მოყავს 12 ოქტომბრის სხდომის ოქმიდან ზორიანის (დაშნ.) სიტყვა, სადაც ნათქვამია,—დაშნაკელებს აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია ტრამვაის ტარიფის გადიდება და განაგრძობს, არ ვიცი ვის უნდოდა ხალხისთვის აეხსნა თვალი,—12 ოქტომბრის ზორიანს, თუ დღეს ხატისოვსო. მაგრამ ეს ადვილი ასახსნელია, მოახლოდან დამფუძნებელ კრების არჩევნები და თქვენ გინდათ ასეთი გამოსვლებით მიიმხრეთ ხალხი, მაგრამ ეს ამათ ცდაა, თქვენ ვერ შესძლებთ მის მოტყუებასო. **ჩემოდანოვი** (ს.-რ.) დაშნაკელების გამოსვლას უწოდებს დემაგოგიურს (ხმები: ბარიალი) ასეთი გამოსვლები ჯერ უნდა გაეთვალისწინებინა პარტიას, ეს არ ასწევს პარტიის პრესტიჟს—და მოითხოვს ტარიფის გადიდებას, რომ თავიდან აიცილოთ ფინანსიური კრიზისი. **ბერიძეროვი** (ს.-დ.) მოიხსენიებს ტარიფის გადიდების. **აუშტროვი** აღნიშნავს, რომ 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შედგენილია. **ფ. მახარაძის** მიერ დასახელებული ფინანსიური გეგმა კი შეეხება 1918 წ. და რადგანაც ტრამვაის გადიდებული ხარჯვა არ არის შეტანილი 1917 წ. ხარჯთ აღრიცხვაში, ცხადია მის დასაფარავათაც უნდა იქნას მიღებული განსაკუთრებული ზომებია. **შ. მეხუთეშვილი** აღნიშნავს, რომ დაშნაკელების დღევანდელ გამოსვლასა და სუხარების დეზონსტრაციის შორის შეიძლო კავშირია, მათ უნდათ ამით დასცენ დემოკრატიის პრესტიჟი, ისევ დეფეტებზე მითითება, რომელთა გამოსწორება ჩვენს ხელში არ არის, ნამდვილი დანაშაულია, ვინაიდან ეს ეს ... **ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲚᲐᲫᲔ** ... ᲐᲚᲘᲡᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ. ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲐᲛᲬᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲒᲔᲚᲗᲐ ᲞᲝᲠᲘᲡ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. 23 სექტემბერს ამხ. ოდიშარიას თავმჯდომარეობით შესდგა ბათუმის ოლქის მასწავლებელთა საზოგადოების საზოგადო კრება. საზოგადოებამ წლიური მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა ნაუმოვამ. გამგეობის მუშაობა კრებამ მოიწონა და ის მადლობით დაალაქიდოდა. გამგეობის თავმჯდომარე დ. მგელაძემ ითხოვა თანამდებობიდან განთავისუფლება, რადგან მას სხვა მრავალი მოვალეობანი აქვს დაკისრებული. მას მაგივრ გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ირ. ლალინტი. ირკვევა, რომ ქალაქის სკოლების საქმე აწყობილია, მარალელური განყოფილებანი საჭიროებისამებრ იხსნება და ნაციონალიზაციაც ხორციელდება. კრება საბსახურიდან ითხოვს, როგორც ზნეობრივათ ულირს მასწავლებლებს ოთხთანათუმის ორ-კლასიან სასწ. მასწავლებელს ჩიბაკაძეს, ბათუმის უ. პ. დ. ს. ინსპექტორს ბელსკას და აგრეთვე სასწავლებლის მასწავლებელს გაბულოვს, ხოლო ოთხდანიდის შესახებ ირჩევს კომისიას. ოთხდანიდს სხვათა შორის ჯაშუშობაც ბრალდება. ცხარე კამათს იწვევს ჯამაგირების კითხვა. ფედერალისტები მაქსიმალისთვის კრებამ დაამტკიცა უკვე არსებული მეცხრე უბნის არჩევნების ბიუროს შემადგენლობა და შეავსო ახალი წევრებით.

ნიკ. ბ.

Ძ. ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. 10 ოქტომბერს მოხდა ქ. ხაშურის რაიონულ რუს. სოც. დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაციის კოლეგტივის მორიგი კრება ამხ. ნ. ინანიშვილის თავმჯდომარეობით. რადგან ამ კრებას ბევრი ფრიად საჭირბოროტო საკითხები უნდა გადაეწყვიტა, ამიტომ კოლექტივის დადგენილებით კრებაზე მოწვეული იყვნენ გარდა კოლექტივის წევრებისა, მოწინავე ამხანაგებიც. დღიურ წესრიგში წამოყენებული იყო შემდეგი საკითხები: მოხსენებანი სოფლათ პროპაგანდა-აგიტაციის შესახებ, ბომის სინდიკატის მუშა-მოსამსახურეების გაფიცვის შესახებ, ქართველში არსებულ პარტიულ ორგანიზაციების დელეგატთა ყრილობის მოწვევა, ორგანიზაციის კასის ანგარიში, პარტიულ სტამბის მუშების ჯამაგირების მოგტანება და დამფუძნებელ კრების ფონდისათვის ფულის შეგროვება.

სოფლებში პროპაგანდა აგიტაციის შესახებ მოხსენებებს აკეთებენ ამხანაგები მ. მარიამი-

—ნაცვლად 40 კ. დაწესდა 1 მ. ... ...

ძე და ნ. ფატარიძე მოხსენებიდან ირკვევა, რომ ხაშურის ორგანიზაციას კარგათ დაუყენია ქართველში პროპაგანდის საქმე და მთელ რაიონში მოუწყვია სასოფლო პარტიული ორგანიზაციები. გომის სინდიკატში მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. სიხარულიძე, რომელიც დაწვრილებით ეხება გაფიცვის მიზეზებს ეკონომიურს ნიადაგზე და ამბობს, რომ გაფიცვა მოსამსახურეთა სრული გამარჯვებით გათავდა. მოსამსახურენი ყოფილან გაფიცულნი ათი დღე და ჯამაგირების მომატების როლენობა ფოთის 100 პროც. შესაძე საკითხის შესახებ, მოსმენილ რა კოლექტივმა ამხანაგ მარიამიძის მოხსენება ყირიმის მოწვევის შესახებ, ერთხმათ გადაწყდა 20 ოქტომბრისათვის მოწვეულ იქნას ქართლის საშაბრო ყრილობა კ. ხაშურში. ყრილობაში მონაწილეობის მიღება ეკუთვნება მთელ ქართველში (გორისა და დუშეთის მაზრები) არსებულ სოც. დემოკ. მუშათა პარტიულ ორგანიზაციებს ერთი მთლიანი მშიერი კვირის შესაქმნელათ. წარმომადგენლობითი წესი ყრილობაზე ასეთი იქნება: 200 პარტიის წევრი ირჩევს ერთ დელეგატს, მხოლოდ ის ორგანიზაცია, რომელსაც 200 წევრზე ნაკლები ჰყავს მაინც ერთ დელეგატს ჰგზავნის, ყრილობის მოწვევა გამოაცხადებული იქნეს ჰოესაში და ცალკე ბარათებით ეცნობოს ყველა ორგანიზაციებს. ამ საქმის მოგვარება დავალებათ ამხ.: ფატარიძეს, ჯორბენაძეს, მარიამიძეს, მეტრეველს და სიხარულიძეს. დანარჩენ საკითხების შესახებ კოლეგატივნა ასეთი რეზოლიუციები გამოიტანა: დაიბეჭდოს ორგანიზაციის კასის მოგვალანგარიშები ტ გამოიკრას სადაც ჯერ არის; ორგანიზაციასთან არსებულ პარტიულ სტამბის ორ მუშას ამხ. ბ. ყაჩაშვილს და შ. ბერძენაძეს მოემატოს ჯამაგირი —პირველს 20 მანეთი, მეორეს 10 მ.; დამფუძნებელ კრების ფონდისათვის ფულის შეგროვება მოეწყოს ყველაზეთი და ამავე მიზნისათვის, გამოიმართოს საბალო წარმოდგენა და სალამო. ნიკო ბურუული.

Ქ. ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲝᲕᲘ. 10 ამ თვეს შესდგა ს. დ. მ. პ. კოლექტივის მორიგი კრება; განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: დამფუძნებელი კრება და საარჩევნო კამპანია; ქალაქის არჩევნები და დამფუძნებელი კრების საარჩევნო ფონდი. დამფუძნებელ კრების საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად კრებამ აირჩია განსაკუთრებული კომისია ცხრა წევრისაგან შემდგარი.

საქალაქო არჩევნების შესახებ კამათი გაიმართა. იყო ორი მიმდინარეობა. ერთნი ამბობდენ—დასახელებული უნდა იქნან კანდიდატებათ ყველა პროგრამიული ელემენტები, მეორენი ამის წინააღმდეგ იყვნენ და მოითხოვდენ ერთფეროვან სიას წმინდა პარტიულს. კრების დიდმა უმრავლესობამ მიიღო ბოლანასკენელი და აირჩია კრებამ კომისია სუთი წევრისაგან. კომისიას ევალება ორ დღეში შეიმუშაოს კანდიდატთა სია და დასამტკიცებლად წარუდგინოს კოლექტივის კრებას.

კოლექტივის კრების შემდეგ იმავე სალამოს მოხდა კომისიის კრება, რომელმაც შეიმუშავა კანდიდატთა სია და კოლექტივის მიერ დამტკიცების შემდეგ გადაეცა საარჩევნო კომიტეტს. К.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.

ᲨᲣᲐᲚᲓᲚᲘ. ძონულის და მურღულის სპილენძის მადნებში მომუშავე მუშებმა ამა წლის 12 აგვისტოში „ხაზეინებს“, ამერიკელ კაპიტალისტებს, წარუდგინეს მოთხოვნილებები, რომელიც მიიღეს კატეგორიულ უარი. მუშები ეხებიან მდგომარეობაში ჩავარდენ, მათ გამოიწვევს ბალიუმელი ამხანაგები, რომელნიც ჩაგრავენენ საქმეში, გამართეს მოლაპარაკება ბალიუმში. პასუხის მგებელ მატიგენერთან. მოლაპარაკებამ და დაპირებამ ორ თვეს გასტანა და საქმეს არაფერი არ ეშველა, ცხოვრების პირობები კი დღითი დღე გაძნელდა და მდგომარეობა მურღულ-ძონულის მუშებისა აუტანელი შეიქნა. მიუხედავათ იმისა, რომ მუშებმა ბევრჯერ გითვალისწინეს და ეცადენ, რომ გაფიცვა თავიდან აეშორებინათ, ეს მაინც შეუძლებელი გახდა და 8 ოქტომბრიდან გაფიცვა გამოცხადდა. შეწყდა მუშაობა მთელ წარმოებაში. მხოლოდ მუშ. საბჭოს გადაწყვეტილებით მუშაობს ერთი ელექტროენის სადგური, რომელიც სინათლეს, იძლევა. ქარხანას მადნარეულის მუშებისაგან არჩეული კაცები იცავენ, რომლებსაც დავალებულ ადევნონ დღე და ღამე თვალ ყური, რომ ქარხანაში არაფერი დაიკარგოს. წესიერებას თვით მუშები იცავენ და არავითარ უწესოებისაგან არ აკვს. გაფიცულ მუშებთან ერთად გაფიცულია თვიური მოსამსახურეებიც, სანამდე გასტანს ეს გაფიცვა და რას მისცემს მუშებს, ამაზე ჯერ არაფერი არ ითქმის, ქარხნის ადმინისტრაცია, ეტყობა, რომ მუშების დაკმაყოფილებაზე არ ფიქრობს და ხელს უწყობს ქარხნის დახურვას. ქარხანა თვ-დაცვის მასალას ამზადებს, და ესეც რომ არ იყოს ბათუმის ოლქში მურღულის ქარხნის დახურვა, არაა სასურველი. საჭიროა ვისაგანაც ჯერ არის და ვინც დაინტერესებულია, ხელი შეუწყოს, რომ არ დაიხუროს ასეთი დიდი წარმოება. საქმეში ჩარევით აიძულონ განერკელი კაპიტალისტები, რომ დაკმაყოფილონ მუშების უმნიშვნელო მოთხოვნილებები.

Мая ბენტერიშვილი.

ᲡᲐᲓ. ᲜᲐᲢᲐᲜᲔᲑᲘ. აქ არსებობ ბერძ.ს ქარხანა, სადაც ყოველ დღიურათ მუშაობს რამოდენიმე მუშა. ომის დაწყებამდე, რომლებიც ამ ქარხანაში ემუშაობდით და ომში გაგვიწვიეს—შემდეგ ბევრი ჩვენგანი დაპრილდავათმყოფებული გაგვანთავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან. ცხოვრების აუტანელმა პირობებმა გვაძლია მივსულიყავით ქარხანაში და ადგილი გვეთხოვნა. ქარხნის პატრონმა ნაცვლად იმისა, რომ გამვერებულებისთვის ხელი მოემართა, ასე გვიპასუხა: აქ არიან მზადოდ სასაღლათო პირები და სხვების ნიღება არ შეგვიძლია.

დ. ურუშაძე.

ᲯᲐᲠᲘᲡ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ.

თფილისის ქართული პოლკი.

მკითხველს მოგეხსენება, რომ ეს რამდენიმე თვეა, რაც თფილისში შესდგა ქართული ბატალიონი, ხხოლოდ რამდენიმე დღის წინათ გადაკეთდა პოლკათ. რიცხვი ამ პოლკში თითქმის 3,000 კაცამდე მიაღწევს.

დღიდან ბატალიონის დაარსებისა დაარსდა კომიტეტი, რომელიც გამხდარა ბუდე ფედერალისტებისა, ს.-დემოკრატებს ან არ შეუშვებენ და თუ შეუშვეს, ეცდებიან რაგვ მიზეზი უპოვონ და ესეც საკმარისია გაიგონ კომიტეტიდან. ამის მაგალითები ბევრ იყო. მიუხედავათ იმისა, რომ ჯარისკაცები ყველა ოანამოაზრე არიან ს.-დემოკრატებისა, მაგრამ რადგან თავმჯდომარე ფედერალისტია, დიდი ენერგიით სდევნის ს. დემოკრატებს. მას ბევრი რამდენიმე აფიცრებმა მისცეს და ჩვენ წინააღმდეგ ილაშქრებენ. არ შეიძლება არ ადენიშნო ერთი გარემოება: უნდოდათ დროშის ყიდვა პოლკისთვის, დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ უნდა დაეწერათ დროშაზე წარწერა. ფედერალისტებმა, რომლის რიცხვიც ოუმცა ცოტაა ჩვენ პოლკში, კომიტეტის თავმჯდომარე პ.ლ. ლეონიძესთან ერთად შეიმუშავეს თავისი ლოზუნგები ზედწარწერათ, მაგრამ როცა მოხდა ყრილობა პოლკისა ჩვენ არ დავთანხმდით ამაზე. ამან გამოიწვია დიდი გულის-წყრომა ფედერალისტებს შორის. კომისიაც ამოირჩიეს—ვინ გაბედა და ჩვენი აზრების წინააღმდეგ გალაშქრაო. ამ ნაირ პირობებში შეუძლებელი ხდება მუშაობა: განაცხადეს, ქართული პოლკი უპარტიო უნდა იყოსო და ფედერალისტებმა კი დაიწყეს შიგ ბუდობა-ბატონობა. დროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, თორემ მთელი პოლკის საქმე აიწეწ-დაიწეწება.

ჯარისკაცი გ. ხემაშვილი.

ამ დროს, როდესაც ქვეყანა განსაცდელშია და შიმშილის აჩრდილი თავს დაგვტრიალებს, ეი სწორეთ ამ დროს ყველა ფრონტების საჭიროებათ მადაზიებიდან გაიქეთ ნაპარავათ ყოველი სასურსათო საგანი,—პური, ქვრი, შაქარი, ერბო, საპონი და სხვ. ეს კარგათ იციან ფილა ჯარისკაცებმა და არჩეულმა პირებმა, მაგრამ ამის შესახებ არაფერი ზომენს არ ღებულობენ. ისიც ხდება, რომ თავათ ჯარისკაცს ნაპარავი საქონელი დაუჭერია, მაგრამ წყალული ფულის საშუალებით საქმე მიუფეზრებია. იყო შემთხვევა, ქ. გასანგალის სასურსათო მაღაზიაში თვით ვაჭრებს დაუჭირეს დაფარული „ფურგონი“, რომელიც პურით იყო სავსე. ეს თუმცა დელეგატებმაც გიგვს, მაგრამ მიჩქმალეს. დღეს მთელი სოფელ-ქალაქი იცლება ყოველგვარ საჭირო-საბადებლიდან და ფრონტზე გზავნიან და ნუ თუ მას ანგარიში არ უნდა გაუწიონ, ვისგანაც ჯერ არ. სასურსათო მაღაზია, ეს ჩვენი მესაზრდოეებელი წყარეა და ნუ თუ ასეთ მაენყვნელ ელემენტებს უნდა ჰქონდეს ადგილი, რომელნიც დღითი დღე გვაცლიან ხელიდან უკანასკნელ ლუკმას და დაუზოგავათ ფლანგავენ საკუთარი ჯიბეების გასაბერებლათ. ყველანი ვიცდებულნი ვართ ანგარიში გაეუწიოთ ჩვენსაკენ ამხანაგებს. ფული ეგრეთ ვერ ეშველის, უკეთუ რეოლიუცია დაწარცხდა. მაშ, ზიზღი იმ პირებს, რომელნიც დღეს სამშობლოს ლალატობენ.

ჯარისკაცი პროკოფი კაკნაველიძე.

ᲯᲐᲚᲐᲚ ᲝᲚᲚᲘ (ბორჩ. მაზრა). 10 ოქტომბერს მოვიდა ამბ. ედაბაქიანეცი მეოთხე სამთო პარკის ყაზარმაში და წაგვიკითხა ჯარისკაცებს ლექცია. მოკლეთ და გასაგებათ აგვიხსნა პროგრამები სოციალ-დემოკრატიული და სოც.-რევოლიუციონერების პარტიებისა. ამასთანავე გაგვაცნო მიწის მუნიციპალიზაცია და სოციალიზაცია. ჯარისკაცების უმეტეს ნაწილზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ლექციამ. სოციალისტ რევოლიუციონერების მომხრე ამბ. პარეჩიანი კირიეკიჩი და ეფიროსი ფერვერკერი ციბულსკი, შერცხვენილები ლექციის დასრულებისას მიიმალენ იმიტომ, რომ წინა დღით სოციალ-დემოკრატები სულ სხვა სახელით მონათლეს ჩვენ წინაშე. ამხანაგმა ელბაქიანცმა 8 ოქტომბერს წაიკითხა ადგილობრივ სომხების სკოლაში ლექცია: „მიმდინარე მომენტი და ხალი“. ამ ლექციაზედაც მარტო ჯარისკაცები დავესწარით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ლექციის გათავების დროს მოსულ ორ მანდილოსანს. ადგილობრივი მცხოვრებნი ძლიან ეეულცოვათ ეკიდებიან კრებებს. ადგილობრივი ინტელიგენცია ეშურობა უმეტესი ნაწილი დაშნაკცუტუნის პარტიას, უ�cრეს—სოც.-დემ. ნაღშევიკებს. არც ერთი და არც მეორე ჯაფი კრებებს არ მართავს. ამიტომ დიდი მადლობის დირსია ამხანაგი ელბაქიანეცი,—როდესაც მოდის ჯალალ-ოღლში, ყოველთვის მართავს კრებებს და მსჯელობს სხვადასხვა საკითხებზე. ჯარისკაცი პლატონ ცინაძე.

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲫᲘᲜᲗᲣᲚᲘ. წელს რომ ქიზიყში მცირე მოსავალი იქნებოდა, გაზაფხულის გასულს ყველამ იცოდა. ჯერ ერთი, მუშა ხელის ნაკლებობის გამო მიწა ნაკლებათ მოიხნა და მეორე, არაჩვეულებრივმა გვალვამ გაათხა მინდვრები. ზოგ ადგილას კი, მაგალ. ბოდბეს, ბიდარის, კელმეჩურს და სხ. სეტყვამ სულ ერთიანათ მოსპო მოსავალი.

ამ ამბავზე არა ერთხელ მიუფითეს მთავრობას და მათ, ვინც ჯერ იყო, როკორც კერძო პირებმა ისე სხვადასხვა დაწესებულებებმა, ითხოვეს კიდეც დახმარება. მაგრამ ალბანეთ, რომ ყველანი მოუსავლობა, გაჭირვებაა და ჩვენი შველა-დახმარება გაძნელდა.

რასაკვირველია, ყველა სანიდისიერმა ადამიანმა იცის, რომ ქიზიყის დამშეგა გაჭირვებაში ბრალი არ მიუძღვის და წელი არ უდევს ახალ მთავრობის და მათ, ვინც ახლა საზოგადოებას სათავეში უდგას. ხხოლოდ აქაური შავრაზმელები, ქურდ-ბაცაცა მიწაწყალები ასე არ ფიქრობენ. ამ ვიეპატონებს გონიათ, რომ ძველ დროებას და ძალა-უფლებას ისევ დაიბრუნებენ.

ეს ვიეპატონები ეკვეანი ხალხია. იციან როდის და რომელ მხრიდან დაიწყონ თავიანთი საქმის გაკეთება და ეი კიდეც იშოვეს დრო და იშოვეს ისეთი დაწესებულება, რომელსაც და რაც შეუძლიანთ ისარგებლონ. სასურსათო კომიტეტი იცნეს ასეთ დაწესებულებათ.

სასურსათო კომიტეტი ღვთის კალთას ქვეშ არ იმყოფება და იქიდან გამოტანილი ფუთი ფქვილი მილიონ ფუთათ არ იქცევა. ამ საყოველთაო გაჭირვებაში და მოუსავლობაში, რასაკვირველია, სასურსათო კომიტეტი ამ მოკლე ხანში ყველას ჯერ ვერ გამოკვებავდა და ვერ დააკმაყოფილებდა. ეს დაიწვია ხელზე ყველა ჯურის მაწანწალამ და დაიწყო ხალხში შავრაზმული ქადაგება.

ამ რამდენიმე ხნის წინათ სოფ. ქვემო-მარჩალიში სამაზრო კომისარის თანდასწრებით კრება მოხდა სოფლის წარმომადგენლებთ. სამაწყალ-მოქმედო კომიტეტი უნდა აერჩიათ. წარმომადგენლებთ შორის ადმონნდენ შავრაზმელები. ამათ დაიწყეს ლაპარაკი: ხალხი, ოთ გინდათ ეს რადაც კომიტეტია... ხომ ხედავთ სასურსათო კომიტეტი ვერ გაძღობთ. ნუ ავირჩევთ ამას და სხვა კომიტეტები დავაშალ-გავყარეთო. მართალია, ხალხი მათ არ აყვა, კომიტეტი არჩეულ იქნა და თვით შავრაზმელები გაშაყდენ, მაგრამ განა ამათ შერცხვებათ და გაჩუმდებიან? სულაც არა და ეს ახლა ერთი შავრაზმელი გაზეთის ფურცლებზედაც მოგვეგზავნა.

გაზეთ „საქართველოს“ № 221-ში დაბეჭდილია პირწავარდნილი შავრაზმული წერილი ბეს. ნატროშვილისა, ეს ვიეპატონი შიმშილობას, არც მეტი, არც ნაკლები, სასურსათო კომიტეტის გამგეობას აწერს. მის წინააღმდეგ ასინინგს არავინ თუ გლეხკაცობას, არამედ მეომრებსაც. ეს საზიზღარი პროვოკაცია, არა მგონია, უეცლობით მოსდიოდეს ბეს. ნატროშვილს. ალბერ ის რაც ხდება დღეს ქიზიყში, ყველამ იცის, მთელი რუსეთის ხელმძღვანელობა...

წელს, 15 მკათათვეშიდე, როცა სასურსათო კომიტეტი დაარსდა, ქიზიყში ფუთი პური ხუთმეტ, ზოგ ადგილას კიდეც ოც მანეთათ იყო. როგორც კარგათ ვიცი, მკათათვეში სასურ. კომიტეტის ერთი წევრი სოფ. ვეჭირის კომისარიათან ერთათ იყო ალაბანს გადმა ჩოლოყაშვილის წისქვილში. ნახა რომ აქ წისქვილში თავი მოეყარა ასამდე კაცს. ესენი მეწისქვილეს ეხვეწებოდენ: მოგვეცი ფქვილი და რამდენიც გინდა გამოგვიყარეთ. გარდა ამისა, მთელი ეს გადმა მხარე სავსე იყო ქიზიყელებით და პურის პატრონებს პურს ფუთს ოც მანეთად ძალით სტაცებდენ ხელიდან. ასეთივე ამბები იყო სხვა მოსავლიან ადგილებშიც.

სასურსათო კომიტეტის გაგზავნამ, რა ნახა ეს არავე-დარვეა და გლეხ-კაცების სასოწარკვეთილი აქეთ-იქით ხეთქვა, მიიღო ზომები, როგორც კანონი ავალებდა, რომ ეს ოლიგარქიული მოსპობილიყო და წესრიგი დამყარებულიყო.

უპირველესად გამგეობა ეეიმართა იმ ადგილებში, სადაც პური მოვიდა. გამართა დიდი სახალხო კრებები და მიტინგები. გაეცნო აქაურებს ქიზიყელების გაჭირვება და მოიწოდა მათ დახმარებისაგან დამშეულებს ხორბლის მიწოდებით. იქ კიდევ, საიდანაც პურის გატანა შეიძლებოდა, აკრძალა სასურსათო კომიტეტის დაუკითხავად ხორბლის ყიდვა-გაყიდვა. ამ გარემოებამ ის შედეგი მოიტანა, რომ ხარბლის ფასმა საგრძნობლად დაიწია და ჩაჩ ვაჭრები ბაზრიდან გაქრნენ.

ამიტომ სრული სიცრუეა, როცა ბეს ნატროშვილი გიძახის, რომ ქიზიყიდან პური სასურსათო კომიტეტის არსებობის დროს ზაქათალა-ბელოგორნში გაზიდესო. ეს რომ შეგნებული ტყუილია და პროვოკაციაა, იქიდანაც სჩანს, რომ დღეგანლამდე ეს ვიეპატონი საცხელო სამსახურში იყო, თფილისში ცხოვრობდა და არ შეეძლო ცოდნოდა, რაც ხდებოდა აქ, ქიზიყში, არ შეეძლო დაენახა ღიმ. გონაშვილი ფეხს იქნევდა, თუ ხელს. მეორეც ისა, რომ ზაქათალა-ბელოგორნში შეეძარებით უკეთესი მასავალი იყო წელს, ხორბალი იაფათ ფასობდა და 20 მანეთათ ფუთს პურს ჩვენდან არავინ წაიღებდა...

ბეს. ნატროშვილზე წერა ადამიანისთვის დამამცირებელია. ხხოლოდ იძულებული ვარ ვწერო მისთვის, რომ ამ სასურსათო კრიზისის დროს მისთანების შავრაზმულ ქადაგებას დამშეულ შეუგნებელ ხალხში გასავალი აქვს. ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ბეს. ნატროშვილების ზზგავსებს თავის დღეში ხალხის გაჭირვება და ტკივილები არ ადალაპარაკებთ. ამა მოვიგონოთ, თუნდ ამ ბეს. ნატროშვილის ახალი წარმოული. რევოლიუციის დაწყებამდე ეს ყმაწვილი მამასახლისათ ბრძანდებოდა სოფ. მაჩხანაში. მერე იცით რას შერიბოდა?.. ისარგებლა მით, რომ ხალხის შვილებს უგზავნიდენ ომში, გაძვალტყავებულ ბლეზეკოვის, შვილებს სამხედრო სამსახურიდან გაგზავნისაგან, ქრთამების რიმეთვით სული ამოართო. წასაყვანი, თუ არა წასაყვანი იყო ვინმე, ყველას წასასვლელათ იწვევდა და მანამ ებლოვათ ფულებს არ ჩაუჩარალებდენ, თავს არ გაანებებდა. მეორე, სოფლის კანცელარიისთვის დამზადებულ რამდენიმე ას თეგნათ ლირებულ მასალით საკუთარი სახლი წამოიშენა, კანცელარია კი კიდევ-ნაბეგვრათ აზენებული გაახრეგული დაამყოფა. რომ კიდეც „შპიონობდა“, ამის დამამტკიცებელი საბუთები ხელში აქვთ ამხანაგებს. და ეი, ასეთი კაცი ხალხის მეგობრობას ჩამოლობს ახლა. გამომდგარა და გიგო ნაცვლიშვილს და დიმიტრი გონაშვილს ხალხის მტრობას უცხადებს. იმ ნაცვლიშვილს და გონაშვილს, რომელთაც სიყრმიდანვე თავის ჭირ ვარიმათ ხალხის ჭირ-ვარამი გაუხდიათ, ძველი რეჟიმის დასაღუპათ და ხალხის განთავისუფლებისთვის უბრძოლიათ, უნახავთ 1905—06 წლები, შემდეგ რეაქციის სიმწვავე უწვნვიათ, ხალხის გულისთვის ციხე-გადასახლება გადაუტანიათ და ურიმდლებოთაც არც ერთი სასარგებლო საზოგადო საქმე არ დაწყებული და არ გაკეთებული ქვემო ქიზიყში... ვიტყვით ჩვენც, რომ დადგება და კიდეც არის ის დრო, როცა ყველას გაასამართლებენ და რომ ამ დღისა ბეს. ნატროშვილებს უნდა ეშინოდეთ, ამასაც მალე ვნახავთ.

—დი.

წერილები რედაქციის მიმართ

ამ წლის 8 ოქტომბერს საბელმწიფო თეატრის შენობაში პარტიის საარჩევნო ფონდის სასარგებლოთ ამბ. ი. წერეთელმა წაიკითხა ლექცია—„ომი და რევოლიუცია“. ლექციიდან შემოვიდა 5034 მან. 55 კაპ. (შემოსავალი იყო 5866 მან. 95 კაპ., გასავალი—832 მან. 40 კაპ.).

სალოლქო კომიტეტი გულწრფელ მადლობას სწირავს ყველა იმ პირებს, რომლებმაც ლექციის მოწყობას ხელი შეუწყვეს, განსაკუთრებით შოქ. ეკლესიოს, რომელმაც მუქთად დეკორაციისთვის თეატრის შენობა.

ხალოლქო კომიტეტი.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲒᲐᲤᲘᲪᲣᲚᲘᲡᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲘ.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ალმასრულებელ კომიტეტის კასაში 30 სექტემბერს რევოლიუციის ფონდის გასაძლიერებლათ შემოვიდა:

სახაზინო თეატრის წმინდა შემოსავალი . . .	1357 მ.	20 კ.
კომისარიატისაგან უფასო ლოჟის არტისტიულ საზოგადოების თეატრის წმინდა შემოსავ.	171 „	40 „
თეატრის დირექციისა და „მარტო“-ს არტისტების შემოწირულება . . .	223 „	60 „
თეატრი „მინიატიური“ .	737 „	26 „
„ახალი კლუბი“, წმინდა შემოსავალი ქართულ სპექტაკლიდან	228 „	„
ძმ. ეფიკოფსკების ცირკი .	325 „	„
ცირკის პატრონების შემოწირულება . . .	25 „	„
ძმ. ეფიმოვების ცირკი .	886 „	90 „
კინემატოგრ. „მინიონი“ .	356 „	80 „
სახელოსნო კლუბი . .	258 „	80 „
„მოლენ ფლეტრიკი“ . .	127 „	25 „
„კინო ბალეს“ . . .	272 „	25 „
ელექტრო-თეატრი „ბოიდლო“	51 „	85 „
თეატრის დირექციის შემოწირულება . . .	100 „	„
ელექტრო თეატრი „ლირა“	202 „	60 „
„ოდეონი“ . . .	25 „	„
მ. და ჯ. დეპუტ. საბჭოს ალმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ქალთა ტრუბინიდან	500 „	„
ყვავიანა „ინტერნაციონალი“	841 „	25 „
სომეხთა ცენტრალური კომიტეტის „ფინჯანი ჩაი“ .	506 „	„
„ფინჯანი ჩაი“—ძმური ნუგეში სამხედრო ტყვეთა დამხმარე თფ. ცენტრ. კომიტ. „ფინჯანი ჩაი“ . . .	174 „	13 „
	221 „	75 „
ქალაქთა კავშირის „ფინჯანი ჩაი“	376 „	56 „
სულ	8020 მ.	80 კ.

თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ალმასრულებელ კომიტეტის კასაში ამავე მიზნით შემოვიდა: „ამხ. ტრუკოლნიკ“-ის ადგილობრივ კანტორებში მოუშავეთა კომიტეტისაგან 110 მ. 50 კ., თფილისის განმანაწილებელ პუნქტის მოსამსახურეთაგან 1105 მ. 83 კ., საგრობო კავშირის დელეგატთა კრების ალმასრულებელ კომიტეტისაგან 1002 მ., ლაზარეთ № 49 220 მ. 83 კ., ტყავეულობის საწყობი № 1 67 მ. 50 კ., საველე ფილიალური განყოფილება 54 მ., დიდუბის ფურნე 51 მ. 17 კ., სანიტართა საზოგადო სახლი (ელისაბედის ქუჩა) 22 მან. 5 კ., წამლების საწყობი 19 მ.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

Ბ. ᲓᲝᲜᲬᲘᲜᲘ

ყოფილი სასტრატეგიული ქირურგიული ინსტიტუტის ექიმი

თვალის სნეულებათ ექიმი-ოკულისტი.

დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. Мясницкая № 76, (ბაკინინის ბაღის საგენერალო).

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ

განმანაწილებელ პუნქტის ლაზარეთის (№ 33) გამგის მიერ მოცემული მოწმობა (Удостовѣреніе) სერაპიონ ლუკას ძე წიგნიგაძის სახელობაზე. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს. თბილისი განმანაწილებელ პუნქტის ლაზარეთში (№ 33) სერაპიონ ლუკას ძე წიგნიგაძეს.

ᲑᲘᲣᲠᲝ

მეოთხე რაიონულ კოლეგიის რ. ს.-დ. მ. პ. მოთავსებულია მე-6 სავალო გიმნაზიაში (ფოდელნის ქ. № 3) აქ შეიძლება გამოწერა გაზეთებისა: „ერთობა“, „ბორბა“ და „ფიქარი“. იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები. ბიურო ღია ყოველ-დღე: 4-დან 8 ს-დე.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

Დ. Ვ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, სად. 5—7 საათამდის, გუნიბის ქ. № 41.

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ

ᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

დებულობს ავათმყოფებს სად. 4—6 ს.-დღე.—ვენერიულ-სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხეპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთა, სიფილისიანთ, ციებიანებს და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.

მისამართი: ფანანურის შესახ. № 3, (1-ლი სამილიციო ნაწილი). (24—16)

ᲙᲐᲠᲒᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

მამულაიშვილი-ხოდნევისამ

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა. ოლდას ქ. № 22.

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲗᲘᲪᲐᲜᲐᲫᲔ

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კირილინის ბაღი, 18, ტელეფონი № 11—82.

ᲒᲘᲜᲐᲙᲝᲚᲝᲒᲘᲐ

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი ბულვარის ქუჩა, ვიტუშინსკისახლში.

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ

ᲕᲚ. Ი. ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხეპუნება, მასსაჟი ტ ელექტრიზაცია. ტიფლისკური ქუჩა, № 4

ᲔᲥᲘᲛᲘ Გ. Მ. ᲛᲣᲡᲐᲫᲔ

იღებს საღამისაკენ ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოდესელთა ტკონიშვილი სახ. შენობის პირდაპირ, სახ. სვენიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ᲔᲥᲘᲛᲘ Პ. Ი. ᲒᲕᲐᲠᲯᲐᲚᲐᲫᲔ

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიეფის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვიქტორიის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ᲔᲥᲘᲛᲘ Მ. Ბ. ᲛᲔᲤᲮᲘᲐᲫᲔ

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღეს 4—5 ს.ა. საათამდე, ვარანცოვის ბაღლის პირდაპირ, რაზიეზლის ქუჩა, № 19.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Დ. Ი. ᲥᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი, საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გორის ქუჩა № 6 (დიდუბე)